ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

შპს “კავკასიის სამედიცინო ცენტრი” საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე
ს.კ. 01.14.03.039.015 პოლიკლინიკური ბლოკი
არქიტექტორული პროექტი.

„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №.41 დადგენილების და „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილება #508 2022 წლის 26 ოქტომერი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დამკვეთი: შპს “კავკასიის სამედიცინო ცენტრი”

პროექტის მთავარი არქიტექტორი: ნათია ალექსიადის

Marina Ionidis 01034000138
Digitally signed by Marina Ionidis
Date: 2026.08.26 12:29:30

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 6

შენიშვნა:

1. საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
3. საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ან/და მშენებლობის დროს, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
4. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
5. ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
6. დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.
7. საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
8. კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს და შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით.
9. შიგა მოპირკეთებისას გამოსაყენებელი მასალებისადმი, მორთულობებისადმი და დეკორატიული მასალებისადმი მოთხოვნები დაკმაყოფილებული უნდა იყოს წესების მე-8 თავის შესაბამისად.
10. უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

შპს “კავკასიის სამედიცინო ცენტრი” საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ.01.14.03.039.015 პოლიკლინიკური ბლოკი არქიტექტორული პროექტი.

„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №.41 დადგენილების და „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილება #508 2022 წლის 26 ოქტომერი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას.
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას.
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას.
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას.
ე) გზა კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას.
ვ) მისაწვდომობის შეფასებას.
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას.
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას.
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას.
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას.
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას.
მ) ლიფტების შეფასება
ნ) ავტოსადგომების მოთხოვნების შეფასება.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია რადიოთერაპიისა და ბირთვული მედიცინის ცენტრის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; განმარტებითი ბარათი; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს.
3. სიტუაციურ სქემას.
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას.
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას,. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა) −1:500 მ
6კეთილმოწყობის გეგმას
7. გეგმებს
8. ჭრილებს,
9. შენობა-ნაგებობების სიმაღლის განსაზღვრის სქემას
10. ფასადებს
11. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს.
12. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს).
13. შენობის ვიზუალიზაციას.

შენიშვნა: ***მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.***

შ ი ნ ა ა რ ს ი:

შპს “კავკასიის სამედიცინო ცენტრი” საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ.01.14.03.039.015 პოლიკლინიკური ბლოკი არქიტექტორული პროექტი.

„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №.41 დადგენილების და „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილება #508 2022 წლის 26 ოქტომერი მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისწორე.

ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2026 წლის 03 ივნისს გაიცა #7947743 ბრძანება, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების თაობაზე.

ტერიტორიასთან საავტომობილო მიდგომა შესაძლებელია აღმოსავლეთიდან მიქელაძის ქუჩდან.

რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო შენობასთან სახანძრო მანქანის მისადგომი გზების რაოდენობას, ადგილმდებარეობას და სხვა პარამეტრებს, აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს მთავრობის #508 2022 წლის 26 ოქტომერი. შენობას მოეთხოვება ცალმხრივი მიდგომა, საპროექტო შენობას გააჩნია სამხრივი მოდგომა სავალი გზის სიგანე 6მ ხოლო შენობიდან დაშორება 3,5მ. შენობის ბოლო დაკავებულ სართულის იატაკამდე სიმაღლე წარმოადგენს მიწის დონიდან ათ მეტრზე ნაკლებს.

რაც შეეხება სახანძრო მანქანის მისადგომიდან ბოლო დაკავებულ სართულამდე სიმაღლეს არის მიწის პირიდან 8,7 მ. შესაბამისად იგი არ აღემატება 23,0 მეტრს, ამიტომ შენობა არ კლასიფიცირდება როგორც მაღლივის კატეგორია.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია პოლიკლინიკის (ამბულატორიის) მშენებლობა.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

შპს “კავკასიის სამედიცინო ცენტრი” საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ.01.14.03.039.015 პოლიკლინიკური ბლოკი არქიტექტორული პროექტი.

შენობის ძირითადი ფუნქცია წარმოადგენს საავადმყოფოს 407 ქვეთავის შესაბამისად

ა. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს პოლიკლინიკის (ამბულატორიის) შენობის მშენებლობას.

თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

- **შენობა** დაკავებულობის კლასიფიცირების მესამე თავის მიხედვით მოიცავს ორ დაკავებულობის ჯგუფს:
სქ (ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულება) სხვადასხვა სამომსახურებო ტიპის (სამრეცხაო, საუთაო და სხვ.)
ოთახები, ვესტიბიული, ამბულატორიული მომსახურეობის ოთახები; ამბულატორიული მომსახურეობის და ადმინისტრაციული ოთახები,
შეესაბამება 304.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.
სწ-1. (საწყობი) სასაწყობე ფართები - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა საშუალო საფრთხის შემცვლელი მასალის შესანახად.
- ოთახებისა და სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი

ამბულატორიული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართები 9,3 (მთლიანი)

საშუალო საფრთხის შემცველი საწყობი 46,6 გამოიანგარიშება:

სქ დაკავებულობისთვის -6,050 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 456,1 კვ.მ /9,3=49(50)

სწ-1 დაკავებულობისთვის -6,050 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 60,8 კვ.მ/46,6=2(6)

სქ დაკავებულობისთვის 0,000 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 195,7 კვ.მ /9,3=21(24)

სწ-1 დაკავებულობისთვის +0,000 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 17,4კვ.მ/46,6=1(4)

სქ დაკავებულობისთვის +4,200 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 302,2 კვ.მ /9,3=33(33)

სწ-1 დაკავებულობისთვის +4,200 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 16,8კვ.მ/46,6=1(2)

სქ დაკავებულობისთვის +7,800 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 223,4 კვ.მ /9,3=24(25)

სწ-1 დაკავებულობისთვის +7,800 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 26,6კვ.მ/46,6=1

სწ-1 დაკავებულობისთვის +11,400 ნიშნულზე - იატაკის ფართობი 93,4კვ.მ/46,6=2

იატაკის ფართობში „წესების " განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით დათვლილია გარე კედლების შიგა პერიმეტრის საზღვრებში მოქცეული თითოეული სართულის მთლიანი (შახტების გარეშე) გარე კედლებს შორის მოქცეული ფართობი, სამი მხრიდან გარე კედლებით შემოზღუდული შესასვლელების წინამდებარე სახურავის თარაზული ნაშვერის საზღვრებში მოქცეული ფართობი და გადახურული აივნები.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 2 ,3 და თავი 10, ქვეთავები 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით. დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

ბ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის პროექტით გათვალისწინებულია 5 სართულიანი (4 მიწის დონის ზედა და 1 მიწის დონის ქვედა სართულით) საავადმყოფოს მშენებლობა.
შენობის სიმაღლე უტოლდება 20,750 მეტრს. შენობაში გათვალისწინებულია სქ, და სწ-1 ჯგუფების დაკავებულობები. ზემოაღნიშნული მონაცემები, კერძოდ შენობის სიმაღლე და სართულიანობა 503 ცხრილის მიხედვით აკმაყოფილებს შენობისთვის მინიჭებულ კონსტრუქციის ტიპს (I-A სახით), რომლის მიხედვითაც აღნიშნული კონსტრუქციის ტიპის სიმაღლე და სართულიანობა შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობის ჯგუფებისთვის (სქ, სწ-1) შეუზღუდავია.

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.
კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

გ. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობებში არსებული დაკავებულობების და კოსნტრუქციული I A ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, კერძოდ
სქ დაკავებულობისთვის დადგენილია შემდეგი მონაცემები: სიმაღლე - შეუზღუდავი, ფართობი შეუზღუდავი.
სწ-1 დაკავებულობისთვის დადგენილია შემდეგი მონაცემები: სიმაღლე - შეუზღუდავი, ფართობი შეუზღუდავი.
შენობა დაპროექტებულია ყველა მაქსიმალური მოთხოვნილი შეზღუდვით სქ მოთხოვნებით.
საპროექტო შენობის სიმაღლე არის მიწის ზემოთ 14,2მ, ხოლო მიწის ქვემოთ - 6,7 მეტრი; სართულიანობა - მიწის ზემოთ 3, ხოლო მიწის ქვემოთ 1 სართული. რაც შეეხება თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი, გასასვლელი საშუალებების ფართობებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს და შეადგენს: სარდაფის სართულზე (სქ)-456,1 კვ.მ , (სწ-1) -60,8 კვ. მ; პირველი სართულზე (სქ)-195,7 კვ.მ , (სწ-1) -17,4კვ. მ; მეორე სართულზე (სქ)-302,2 კვ.მ , (სწ-1) -16,8კვ. მ; მესამე სართულზე (სქ)-223,4 კვ.მ , (სწ-1) -26,6კვ. მ მეოთხე სართულზე (სწ-1) -93,4კვ. მ
მეოთხე სართულზე გამოყენებულია მხოლოდ აღნიშნული ფართი ტექნიკური ოთახებისათვის ხოლო დანარჩენი ნაწილი არის სახურავი.

შენობის ფართობში „წესების“ განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით დათვლილია გარე კედლებს შორის მოქცეული ფართობი,

გარდა საჰაერო შახტების და სამი მხრიდან გარე კედლებით შემოზღუდული ეზოებისა, ასევე ფართობი, რომელიც შესასვლელების წინამდებარე, სახურავის თარაზული ნაშვერის საზღვრებშია მოქცეული. გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 2 და თავი 5, ქვეთავი 202 და 503; ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

დ. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობა : მოიცავს ორ დაკავებულობას **სქ** ამბულატორია, , **სწ-1** საწყობი,

შენობის თითოეული სართულისთვის გათვალისწინებული გასასვლელი კომპონენტების რაოდენობა აკმაყოფილებს წესების 1021.2 და 1015 ქვეთავების მოთხოვნას. მიწის დონის ზედა და ქვედა სართულებს ემსახურება ორი გასასვლელი გზა-კიბის სახით, ხოლო მიწის დონის სართულს ორი გასასვლელი გზა-კარის სახით.
მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების მომსახურე კიბეები წარმოადგენს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს. აღნიშნული გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლების ცეცლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 1022.2 პუნქტის მოთხოვნას.
კიბის უჯრედებში შემავალი კარის ღიობები ერთმანეთისგან გამიჯნულია სართულის მაქსიმალური დიაგონალის 1/3-ზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მოთხოვნას.
მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების მომსახურე გზა-კიბეებიდან ერთ-ერთი კიბე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, ხოლო მეორე კიბე ისეა დაგეგმარებული, რომ კიბის შემომზღუდავიდან გარეთ გასასვლელი კარი ადვილად შესამჩნევი და აღქმადია და გასასვლელამდე სავალი ბილიკი ავტოსაშხეფი სისტემით არის აღჭურვილი, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს გააჩნია ვესტიბიულები.
ვესტიბიულის ზომები აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელი გზა-კიბეები და ვესტიბიულები ნიავდება მექანიკურად.
ლიფტის სამანქანე ოთახებთან მიდგომა ხორციელდება გზა-კიბეების საშუალებით, თანახმად 1009.17 ქვეთავისა.
შენობის სახურავთან მიდგომა ხდება კიბის საშუალებით.
ერთი კიბის უჯრედი ადის სახურავამდე.
სახურავთან მისადგომი მონაცვლესაფეხურებიანი კიბე აკმაყოფილებს 1009.13.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1005.3.1 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით. გზა კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 7.6 მმ ფაქტორი.
გამოთვლის შედეგად მიღებულია დასაშვებზე (1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ 1.10,მ-ზე) ნაკლები სიგანის გზა-კიბე, თუმცა ორივე კიბის თითო მარშის სიგანე აკმაყოფილებს, როგორც 1005.3.1 ქვეთავის შესაბამისად გამოთვლილ, ისე 1009.4

ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნას.
გზა-კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 პუნქტის მოთხოვნებს.
გზა-კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე პუნქტის მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე პუნქტის მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ბაქნები არ არის კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი კიბის ბაქანს არ ამცირებს ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 პუნქტის მოთხოვნებს.
იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მეტრს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
თითოეული სართულისთვის თუ სივრცისთვის, სადაც საჭიროა ორი ან მეტი გასასვლელის მოწყობა, გასასვლელები ერთმანეთისგან გამიჯნულია სართულის/ფართის მაქსიმალური დიაგონალის 1/3-ზე მეტი მანძილით, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის „2“ გამონაკლისის მოთხოვნას.
გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ საერთო სავალი ბილიკი სქ ჯგუფისათვის შენობაში რომელიც მთლიანად აღჭურვილია საშხეფი სისტემით 30მ შეადგენს. პროექტით დაცულია ეს პირობა.
გასასვლელამდე მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, თითოეულ სართულზე აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.
თანახმად 1005.3.2-ე ქვეთავისა, დერეფნების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებელი გამრავლებულია გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე.
დერეფნების სიგანე თითოეულ სართულზე აკმაყოფილებს, როგორც 1018.2-ე ცხრილით მოცემულ, ისე 1005.3.2-ე პუნქტის მიხედვით გამოთვლილ მაჩვენებლებს.
დერეფნები ისეა დაგეგმარებული, რომ არ წარმოიქმდება 6მ. და 15მ.-ზე გრძელი ჩიხები, რაც აკმაყოფილებს 1018.4 ქვეთავის და მისი „2“ და „3“ გამონაკლისების მოთხოვნებს.
დერეფნები უწვეტია და მას არ კვეთს შუალედური ოთახები.
თანახმად 1005.3.2-ე ქვეთავისა, შენობაში გათვალისწინებული ყველა კარის გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. არცერთი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 0.82მ-ზე ნაკლები. რაც შეეხება ყველა იმ კარს, რომლებიც გამოიყენება საწოლების გასატან-გამოსატანად, ყველა ასეთი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 1.10 მეტრზე ნაკლები. ყველა კარის თავისუფალი სიგანე აკმაყოფილებს როგორც 1005.3.2, ისე 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ მაჩვენებელს.

კარების მწკრივში, ორ კარს შორის მანძილი არ არის 1.20 მეტრზე ნაკლები, თანახმად 1008.1.8 პუნქტისა.__

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1016 და 1021; ცხრილი 1016.2 გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ე. გზა-კარებების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- წარმოდგენილ შენობაში

თითოეულ სართულზე მოწყობილია 2 გზა-კარი, რომლებიც დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით სწორედ არის შერჩეული და შედის კიბის უჯრედებში. შესაბამისად გასასვლელი საშუალების ნაწილია და შედის კიბის უჯრედებში რომლებიც თავის მხრივ აკავშირებს სახურავს მიწისზედა და მიწისქვედა სართულებს ერთმანეთთან. რომელებსაც 1009.15 ქვეთავის შესაბამისად ორივე მხარეს გააჩნია სახელური, რომელიც მოწყობილია 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. გზა-კიბის სიგანე სახელურებს შორის შეადგენს 1,25 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბის ბაქნის ზომები ასევე შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა: კერძოდ დერეფნების მინიმალური საიგანე პროექტში 2,4მ-ია რაც აკმაყოფილებს 1005,3,2 ქვეთავის და ცხრილი 1018,2-ის (ამბულატორიაში მინიმალური სიგანე 1,8მ) მოთხოვნებს.
- სათავსებიდან გამოსასვლელი კარებები და დანარჩენი კარის ღიობებს, რომლებიც აუცილებელი გასასვლელი საშუალების ნაწილი არ არის, 1008. ქვეთავის შეესაბამება. შესაბამისად ყველა კარის ზომა და რაოდენობა, პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ვ. მისაწვდომობის შეფასება:

- შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადასტრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა,მითითებულია მისაწვდომი სვლაგეზი, საკადასტრო ერთეულის გარედან გზიდან შენობაში შესასვლელებამდე.
-შენობაში ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ საფეხურების გარეშე შესაძლებელია ყველა სივრცეში მოხვედრა მათ შორის შენობის გარეთ. არცერთი მისაწვდომი კარის ზომა არ არის 82სმ-ზე ნაკლები(გარდა საპირფარეშოებისა ინვალიდის ცალკეა)
-შენობაში გათვალისწინებული ლიფტი მისაწვდომია რაც აკმაყოფილებს 1007,2,1 ქვეთავის მოთხოვნებს.
-რომლის ზომა ასევე აკმაყოფილებს 1702,4 ქვეთავის მოთხოვნებსაც (ეტევა 0,70მ2,15მ გაბარიტების საკაცე)
-მისაწვდომი ტუალეტი გათვალისწინებულია ყველა ამბულატორიულ სართულზე.

ზ. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობა

ჩრდილოეთით 4 – 1 ღერძებში

სამხრეთი 1-4 ღერძებში

აღმოსავლეთი ა - ვ ღერძებში

დასავლეთი ვ-ა ღერძებში

ოთხივე ფასადის მხარეს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9 მერტს აღემატება. შესაბამისად 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელს არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა. 705.8 ცხრილის მიხედვით კი აღნიშნულ კედლებში დაუცველი საშხეფით მოსაწყობი ღიობების ფართობი შეუზღუდავია. შესაბამისად პროექტში ფასადებს ღიობების ანგარიშს არ საჭიროებს.

თ. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინების ღარები და მილები. სახურავი არ არის ექსპლუატირებადი.
- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I A ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობა ესაჭიროება. ხოლო არამზიდ კედლებს და ტიხრებს 602 ცხრილის მიხედვით ცეცხლმედეგობა არ ესაჭიროება. პროექტში აღნიშნული გათვალისწინებულია რაც აკმაყოფილებს 601 და 602 ცხრილის მოთხოვნებს.
-. სახურავის ქანობი შეადგენს 2% -ს, რაც აკმაყოფილებს 1507,10,1 ქვეთავის მოთხოვნებს, ვინაიდან გათვალისწინებულია მოდიფიცირებული ბიტუმის ბორულის გამოყენება.

შენიშვნა: 1507,11,2 მასალის სტანდარტები, სახურავის მოდიფიცირებული ბიტუმის ბურულები უნდა შეესაბამებოდეს ASTM D 6162, ASTM D 6164, ASTM D 6222, ASTM D 6223, ASTM D 6298 ან ASTM D 6509-ს.

ი. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

საპროექტო შენობაში სამი დაკავებულობაა **სქ , სწ1** შესაბამისად ცხრილი 508,4 ის მიხედვით გამიჯნავებს ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება რაც შეეხება კიბის უჯრედებს ისინი შემოზღუდულია შესაბამისი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით (2 საათი) და მოწყობილია ცეცხლმედეგი კარებები. „წესების“-ს მოთხოვნების შესაბამისად.
- 1018.1 ცხრილის თანახმად: დერეფნებს არ ესაჭიროება ცეცხლმედეგობის ხარისხი.

კ. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- - საპროექტო ობიექტი თავისი მახასიათებლებით მე-3 თავის განმარტების მიხედვით წარმოადგენს სქ, დაკავებულობის.

შენობაში მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა 903.2.2 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე და 903,2,11 ქვეთავისა საფუძველზემიწისქვედა სართულზეც.
რაც შეეხება სხიური თერაპიის სამ ბუნკერს მიუხედავად ოთახების გაბარიტული ზომებისა მასში მხოლოდ ერთი ადამიანია პრროცედურის დროს.

სივრცეები არის მაღალტექნოლოგიური და იქ განთავსებული აპარატურის ტექნიკურ მონაცემებში მითითებულია რომ ამ სივრცეებში არ შეიძლება ავტომატური ქრობის სისტემის მონტაჟი. სისტემების მნიშვნელობიდან გამომდინარე აქ მუდმივად იმყოფება პერსონალის წარმომადგენელი და საჭიროების შემთხვევაში მექანიკურად ცეცხლმაქრის საშუალებით მოხდება ცეცხლის ჩაქრობა.

ავტოსაშხეფ სისტემას ემსახურება სახანძრო ტუმბო, რომელიც განთავსებულია ცალკე მდგომ ტექნიკურ შენობაში. შესაბამისად პირდაპირი კავშირი აქვს გარე სივრცესთან. აქვე არის განლაგებული სახანძრო წყლის რეზერვუარიც.

905,3,1 ქვეთავის შესაბამისად შენობას ესაჭიროება III კლასის სახანძრო მილდგარები, რომლებიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი მასალების მიხედვით.
მილდგარის სახელოს მისაერთებელი კი
ისე არის განთავსებული, რომ 30მ-იანი სახელოს მიერთებისას შენობის ნებისმიერი ნაწილიდან 9 მეტრის მანძილშია.

906,1 ქვეთავის შესაბამისად **სქ,** დაკავებულობაში საჭიროა ხელის ცეცხლმაქრის განთავსება.

შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.

შენიშვნა: სისტემები მოეწყოს 907 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.
უნდა დამოტაჟდეს სახანძრო სისტემის და მექანიკური საშვალებებისათვის მუდმივი და ალტერნატიური (გენერატორი) კვების წყარო.

შენიშვნა: აღნიშნული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შენობის ექსპლუატაციისათვის.

ლ. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები გათვალისიწნებულია შენობის სართულზე, მათი რაოდენობა მეტია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილი რაოდენობისა.

მ. ლიფტების შეფასება:

შენობას ემსახურება ერთი სამედიცინო ლიფტი.
ლიფტის შახტების შემომზღუდავები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 1702.1 პუნქტის მოთხოვნას.

ლიფტის შახტების შემომზღუდავების ღიობების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს, რაც შეესაბამება 1702.1.1 პუნქტის და 716.5 ცხრილის მოთხოვნას.

თანახმად 1702.2 პუნქტისა, თუ შენობის სხვადასხვა ან ერთსა და იმავე ნაწილს ოთხი ან ოთხზე მეტი ლიფტის კაბინა ემსახურება, ლიფტებისთვის, არანაკლებ, ორი დამოუკიდებელი შახტი უნდა მოეწყოს. თითო შახტში ოთხზე მეტი ლიფტის კაბინა

არ უნდა მოძრაობდეს. საპროექტო დოკუმენტაციით აღნიშნული მოთხოვნა დაცულია.

შენობა არ არის მიწის ზემოთ ოთხზე მეტსართულიანია, საპროექტო შენობას არ ესაჭიროება სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის მისაწვდომი ლიფტი. მაგრამ ლიფტის კაბინის ზომები (1,980X2,480) იძლევა შესაძლებლობას კაბინაში 2,15მ. X 0.6 მ. საკაცის შეტანის, რაც შეესაბამება 1702.4 პუნქტის მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ ასეთ კარადაზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს
სიმაღლე 75 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და დატანილი უნდა იყოს შიგნიდან ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს.
ლიფტი არ არის განთავსებული ისეთ შემომზღუდავში, რომელშიც გზა-კიბეებია, რაც აკმაყოფილებს 1702.7 პუნქტის მოთხოვნას.

ლიფტისათვის მოწყობილია საჰაერო ნახვრეტები კვამლისა და ცხელი აირების გასაწოვად. თითოეული ასეთი საჰაეროს ფართობი არ არის 0.28 კვ.მ.-ზე ნაკლები. რაც შეეხება კომპლექსის სხვა არეალებში განთავსებულ ლიფტებს, ვინაიდან საოფისე და ავტოსადგომის ნაწილებში განთავსებული არ იქნება ღამის გასათევი ადგილები და ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილი იქნება ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 1704.1 პუნქტისა, ასეთ არეალებში ლიფტის შახტებისათვის საჰაეროების მოწყობა არ წარმოადგენს აუცილებლობას.

ლიფტის სამანქანე ოთახები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს. ასეთ კედლებში მოქცეული კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1706.4 პუნქტის მოთხოვნას.

შენობაში, 1007.2.1 პუნქტის მოთხოვნით, დამონტაჟებულია მისაწვდომი გასასვლელი ლიფტები. ასეთი ლიფტები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრომომარაგებით.

407 ქვეთავის შესაბამისად შენობას ესაჭიროებს ლიფტი რომლის კაბინის ზომა უზრუნველყოფს საკაცის შეყვანას. პროექტში აღნიშნული დაცულია.

დ ა ს კ ვ ნ ა:

შპს “კავკასიის სამედიცინო ცენტრი” საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ.01.14.03.039.015 პოლიკლინიკური ბლოკი არქიტექტორული პროექტი.

შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

1. მუშა დოკუმენტაცია,კონსტრუქციული და საინჟინრო პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით!
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან, აგრეთვე სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებლად შეთანხმდეს სახანძრო- სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:
   - განიავების და ცეცხლის ავტომატორი აღმოჩენის სისტემები;
   - ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
   - გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
   - საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები;
   - სახანძრო განგაშის სისტემები;

   - ექსპერტი: მ. იონიდისი

გამოყენებული (კანონმდებლობა,რეგლამენტები,წესები,სტანდარტები.....)

2, „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებ.

მარინა იონიდისი

ტელ: (995 32) 960924 (სახ), (995 98) 25 79 24 (მობილ)
-მაილ: mari.ionidisi@gmail.com
მისამართი: ქ.თბილისი II ასპინძის ქ. 15



პერსონალური ნმფორმაცია	დაბადების თარიღი: 20.10.1987 დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო
სასწავლებლები	ქ.თბილისის 26 საშუალო სკოლა------ 1994-2004 ქ.თბილისის ს.ტ.უ. --------- 2004-2008 არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის კათედრა სპეციალობა არქიტექტურა
სერთიფიკატები	დიპლომი:საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 75-ე ღია სამეცნიერო ტექნიკურ კომფერენციაში (II პრემია) დიპლომი: სემესტრის "საუკეთესო პროექტში" წარმატებისათვის
გამოცდილება	2016------- შ.პ.ს. "აპექს სტუდიო 1" თბილისი, საქართველო მთ. არქიტექტორი -- მრავალპროფილური კლინიკა. .თბილისი ბელიაშვილის ქ.-ზე ს.კ. 011302010058 .. მრავალპროფილური საავადმყოფოს გემოდიალეზის განყოფილება. ქ.თელავი 2010-2016 შ.პ.ს. "ბლოკჯორჯია" თბილისი, საქართველო არქიტექტორი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება, ინტერიიერის და ექსტერიიერის დიზაინის შემუშავება, მუშა ნახაზების შედგენა, პროექტის დამტკიცება და მშენებლობის კორდინაცია. .. ცენტრალური ჰოსპიტალი დკც 325 საწოლზე ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.№23 სრული პროექტი. ..ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი ფონიჭალა ღოღობერიძის №42 სრული პროექტი. მერიაში შეთანხმებით. დიზაინი ..გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი პანკისის ხეობა სოფელი დუისი ...პათო-მორფოლოგიის ცენტი ქ. თბილისი დიდი დიღომი ...მცეთის სამედიცინო ცენტრი 100 საწოლზე სამხედროს ქუჩა №20 სრული პროექტი,ზედამხედველობა. ...ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი II ასპინძის №15 სრული პროექტი. მერიაში შეთანხმებით. დიზაინი. ...ჰემატოლოგიის და ტრასფუზიოლოგიის ცენტრი. სრული პროექტი. ...ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი წოდორეთში. სრული პროექტი ...მრავალპროფილური საავადმყოფო 10 საწოლზე ასპინძაში სრული პროექტი ...მრავალპროფილური საავადმყოფო 15 საწოლზე დაბა ლენტეხში სრული პროექტი ...მრავალპროფილური საავადმყოფო 15 საწოლზე დაბა ხარაგაულში. სრული პროექტი ...ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დიდ დიღომში სრული პროექტი. მერიაში შეთანხმებით და დიზაინი.

...ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ნახალოვკაში
სრული პროექტი მერიაში შეთანხმებით.

...ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ნახალოვკაში ჯანელიძის ქ. სრული პროექტი მერიაში შთანხმებით

...მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკა 220 საწოლზე ზუგდიდის რაიონი სოფელი რუხი. სრული პროექტი

... ინდივიდუალურირი საცხოვრებელი სახლი წყნეთში.
სრული პროექტი

... მრავალპროფილური საავადმყოფო 70 საწოლზე ქ. ქობულეთში
სრული პროექტი.

... მრავალპროფილური საავადმყოფო 25 საწოლზე ქ. ნინოწმიდაში
სრული პროექტი.

... მრავალპროფილური საავადმყოფო 5 საწოლზე დაბა ასპინძაში
სრული პროექტი.

.. მრავალპროფილური საავადმყოფო 15 საწოლზე დაბა ჩხოროწყუში
სრული პროექტი.

.. შინაგან საქმეთა სამინისტროს დახურული სპორტული
კომპლექსი შიდა ინტერიერის დიზაინი.

.. მრავალპროფილური საავადმყოფო 31 საწოლზე ქ. ხაშურში
სრული პროექტი.

.. შინაგან საქმეთა სამინისტროს დახურული სპორტული
კომპლექსის ეზოში დასასვენებელი ზონის "სკვერის" დიზაინი.

.. ზოგადი პროფილის საავადმყოფო 25 საწოლზე ქ. ცაგერში
სრული პროექტი.

.. ზოგადიპროფილის საავადმყოფო 25 საწოლზე ქ. მარტვილში
სრული პროექტი და შიდა დიზაინი.

.. მრავალპროფილური საავადმყოფო 70 საწოლზე ქ. ფოთში
სრული პროექტი, ცენტრალური და მომღების ვესტიბულის დიზაინი.

2009 შ.პ.ს. "დეკორლაინს" თბილისი, საქართველო
დიზაინერი

საცხოვრებელი სახლების დიზაინი,მხატრული ლესვა

2008 შ.პ.ს. "დიზაინკომპლექსი" თბილისი, საქართველო
არქიტექტორი

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება, მუშა ნახაზების შედგენა, პროექტის დამტკიცება და მშენებლობის კორდინაცია.

საცხოვრებელი სახლი ქ. ქუთაისი აღმაშენებლის ქუჩა №81-ში.

სავაჭრო კომპლექსი ქ.ქუთაისი ნინოშვილის № 21-ში.

2007 ს.ტ.უ. თბილისი, საქართველო
აზომვით ნახაზები

ანალიზი ქ. თბილისის ანჩისხატის ტაძრის, კროკების შედგენა კომპიუტერული ვერსიის გაკეთება.

2007 შ.პ.ს. კუროკმშენი თბილისი, საქართველო
არქიტექტორის ასისტენტი

საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში
გეგმებისა და ფასადის ჩემეული ვერსია

2006 ს.ტ.უ. თბილისი, საქართველო

აზომვითი პრაქტიკა

ეთნოგრაფიულ მუზეუმში: ოდას კროკები აზომვითი ნახაზები ჩანახატები

2005 ს.ტ.უ. თბილისი, საქართველო

გეოდეზიური სამუშაოები

გეოდეზიური აზომვები ტერიტორიაზე, ტერიტორიის ანალიზი, გეოდეზიური ნახაზების შედგენა

ენები

ენები	წერა	კითხვა	ლაპარაკი
ქართული	ძალიან კარგად	ძალიან კარგად	ძალიან კარგად
რუსული	ძალიან კარგად	ძალიან კარგად	ძალიან კარგად
ინგლისური	საშუალოდ	საშუალოდ	კარგად
ბერძნული	საშუალოდ	საშუალოდ	ძალიან კარგად

კომპიუტერი

პროგრამები: Microsoft Office pack, ArchiCad, AutoCad, 3D max, Atlantis, Photoshop, Internet,

ინტერესები

მუსიკის მოსმენა, კითხვა, ცურვა, მოგზაურობა, ძველი ბერძნული არქიტექტურის შესწავლა.

შრომის წიგნაკი

გვარი ითნიძე

სახელი მახიმ

მამის სახელი ანდრეა

დაბადების თარიღი: „20" [illegible]

განათლება უმაღლესი
(დაუმთავრებელი, საშუალო, საშუალო, დაუმთავრებელი, უმაღლესი, უმაღლესი)

პროფესია, სპეციალობა ავტომექანიკოსი

შევსების თარიღი 2010 წ. „15" ივნისი

წიგნაკის მფლობელის ხელის მოწერა

შრომის წიგნაკის პასუხისმგებელი გამცემის ხელის მოწერა
(გვარი და ხელმოწერა)

«ბლოკ-ჯორჯია» 211362461 BLOCK ჯორჯია «BLOCK-GEORGIA» LTD

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	2010 15 06	[illegible]	[illegible]	[illegible] 15.06.2010
	2016 30 08	[illegible]	[illegible]	[illegible] N11 30.08.2016
		[illegible] «BLOCK GEORGIA» LTD	[illegible]	

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი წელი, რიცხვი, თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწე (დოკუმენტი, მის თარიღი და ნომერ
	2016.05.09	მიღებულია ანგელ შპს	„ანგელ სერვისი"-ის	ბრძ N03/20
		მთავარი ბუღალტრის	თანამდებობაზე	05.09.2016

out/150515/02

15.05.2015წ.

სარეკომენდაციო წერილი

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“ აძლევს სარეკომენდაციო წერილს მარინა იონიდისს მასზედ, რომ 2014 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მარინა იონიდისმა განახორციელა ობიექტების საპროექტო სამუშაოები და საავტორო ზედამხედველობა.

მარინა იონიდისმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულა ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით, განსაზღვრულ ვადაში და აწარმოებს საავტორო ზედამხედველობა აღნიშნულ ობიექტზე.

შპს "მცხეთის სამედიცინო ცენტრის"-ს დირექტორი: /ნიკოლოზ ჭელიძე/

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

WITH HONOURS

BA № 000348

This is to certify that by the decision July 7, 2008.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Marina Ionidisi

born on October 20, 1987.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi February 18, 2009. Registration No 07238

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

წარჩინების

BA № 000348

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2008 წლის 7. 7 გადაწყვეტილებ

მარინა იონიდისს

დაბადებულს 1987 წლის 20 ოქტომბერს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/02/2009 სარეგისტრაციო # 07238

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-088

გადაეცემა

მარინა იონიდისს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის ინსტიტუტი
არქიტექტურული გეგმარების კათედრა

დიპლომი

მიენიჭა

III პრემია

მარი იონიდისის

II კურსის სტუდენტს სემესტრის

„საუკეთესო პროექტში" წარმატებისათვის

არქიტექტურული გეგმარების
კათედრის გამგე პროფ. გ. დადუთაია

ქ. თბილისი 19. 06. 2006 წ.

საქართველო

დ ი პ ლ ო მ ი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტი აჯილდოვებს

მარი იონიდისს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სტუდენტთა 75-ე ღია

სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციაში

მეორე საპატიო ადგილის მოპოვებისათვის

(არქიტექტურის სექცია)

ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გოჩა მიქიაშვილი

არქიტექტურის სექციის თავჯდომარე პროფესორი ლევან ბერიძე